ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**g-69. 69233104**
თარიღი:**06/11/2023**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2024 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 07 თებერვლის N 23 დადგენილების „საქართველოს

სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი

თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და

კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ დანართის მე-2 მუხლის საფუძველზე:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი

ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის

პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის

2013 წლის 7 თებერვლის N 23 დადგენილების ფარგლებში, მოწონებული იქნეს 2024 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტები დანართი N 1-ის შესაბამისად (თან ერთვის)

მუხლი 2. ნება დაერთოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი მუხლით

მოწონებული პროექტების განხორციელების შესახებ წინადადება წარადგინოს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში,

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი

ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის

პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის

2013 წლის 7 თებერვლის N 23 დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 3. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, პირველი მუხლით

განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 5. განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს

„2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში

შესვლის შემთხვევაში.

მუხლი 6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში

ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი